

დამტკიცებულია
სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს
გადაწყვეტილებით

2009 წლის 17 აპრილის ოქმი № 1

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

_____ /ა.ე. ვაგნერი/

დებულება

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მდივნისათვის
ანაზღაურებისა და კომპენსაციების გადახდის შესახებ

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია სს „თელასის“ (შემდგომ „საზოგადოება“) და ადგენს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მდივნისათვის ანაზღაურებისა და კომპენსაციების ოდენობასა და გადახდის წესს.

1.2. საზოგადოება ანაზღაურებისა და კომპენსაციების გადახდას ახორციელებს ფულადი ფორმით.

2. ანაზღაურების გადახდა

2.1. თავისი ფუნქციების შესრულებისათვის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მდივნისათვის გადახდილ უნდა იქნეს ანაზღაურება, რომელიც ეკვივალენტურია **100** (ასი) პირობითი ერთეულის, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული სხდომისათვის მისი ჩატარების ფორმის მიუხედავად. ერთი პირობითი ერთეული უდრის ერთ აშშ დოლარს. გადახდა ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე, რომლებიც ერიცხება და გადახდილ უნდა იქნეს საზოგადოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად).

2.2. წინამდებარე დებულების მე-2.1 პუნქტში მითითებული ანაზღაურების გადახდა ხორციელდება **7** სამუშაო დღის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღიდან.

2.3. სამეთვალყურეო საბჭოს მდივნის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, ანაზღაურება გადახდილ უნდა იქნეს არა უგვიანეს **30** კალენდარული დღის განმავლობაში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

2.5. წინამდებარე დებულება საკმარისი საფუძველია ანაზღაურების გადასახდელად, საზოგადოება სამეთვალყურეო საბჭოს მდივანთან არ დებს ცალკე შრომით ხელშეკრულებას.

3. კომპენსაციების გადახდა

3.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მდივნისათვის ანაზღაურებულ უნდა იქნეს ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობასთან, სხდომის ან შემოწმების ჩატარების მომენტისათვის საზოგადოებაში სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების დადგენილი ნორმების შესაბამისად.

3.2. საზოგადოება კომპენსაციებს იხდის გაღებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან **3** (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში, საზოგადოების შიდა დოკუმენტებით განსაზღვრული წესის თანახმად.